ოქმი:**ო02. 3724082001**

თარიღი:**22/03/2024**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 22 მარტი
ქ.ოზურგეთი
13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, ალ. ღლონტი, ნ. სარჯველაძე, ლ. კილაძე, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მისაღებად, ანგარიშის განხილვისა და შემდგომი პროცედურების თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე

2.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასფინანსებელი პროექტების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ქვეყნაში ხორციელდება რამდენიმე წლის მანძილზე, მიმდინარე წელსაც, მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე, გამოიკვეთა პრიორიტეტული პროექტები, ძირითადად შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, განაწილდა თანხები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს(1,86 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაემატა შესაბამისი თანხები, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. შემდეგ კონკრეტულად გააცნო ისინი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შესყიდვების გეგმის შესრულებაზე(52 მილიონი ლარი), ჩატარებულ ტენდერებზე, გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, შემდეგ ისაუბრა კონკრეტულ შესყიდვებზე, განაცხადა, რომ სულ გამოცხადდა 120 ელექტრონული ტენდერი, აქედან 19 ჩავარდა და ჩატარდა განმეორებით. შესყიდვებში გაკეთდა 3 მილიონი ლარის ეკონომია. ისაუბრა განხილულ საჩივრებზე-1 დაკმაყოფილდა, ერთს უარი ეთქვა. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი